დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

Local Council (Sakrebulo) of Dmanisi Municipality

1700 ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ. 41
ტელ.: 0 (360) 22-24-224, 22-16-40

41,Tsminda Nino Street, 1700 Dmanisi town, Georgia
Tel.: 0 (360) 22-24-24, 22-16-40

19 აპრილი 2013 წელი ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №40

საქართველოს ,,საბიუჯეტო კოდექსის'' 88-ე მუხლის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, დანართის თანახმად.

2. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ ადუაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი შედგენილია გასული, მიმდინარე დასაგეგმი საბიუჯეტო წლის და შემდგომი სამი საბიუჯეტო წლის საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 24 ნოემბერს №19-43 დადგენილებით ორგანიზაციულ და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში, ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და გარდამავალი ნაშთის გათვალისწინებით, რომლის მოცულობამ შეადგინა 3650,0 ათასი ლარი. მათ შორის: გადასახადები -1230,0 ათასი ლარი, გრანტები -1855,5 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 464,5 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების კლება-100,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით 2012 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილი იქნა ცვლილებები 17-ჯერ, რაც გამოწვეული იყო კლასიფიკაციის მუხლებს შორის შიდა გადაადგილებით 4 - შემთხვევა, შემოსავლების გაზრდის მიზნით - 9 შემთხვევა, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებით გამოყოფილი თანხის გაზრდით - 4 შემთხვევა, რის შედეგად 2012 წლის ბოლოსათვის დაზუსტებულმა ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 8700,0 ათასი ლარი. მათ შორის გადასახადები -2673,1 ათასი ლარი, გრანტები - 3311,2 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 1159,5 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 270,0 ათასი ლარი და გარდამავალი ნაშთის მიმართვით ხარჯების დასაფარავად - 1286,2 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ფაქტიურმა მოცულობამ შეადგინა 7783,6 ათასი ლარი ანუ დაგეგმილ მონაცემებთან შედარებით 108,9% (გეგმა -7143,8 ათასი ლარი, ფაქტი 7783,6 ათასი ლარი). მათ შორის: გადასახადები შესრულებულია 108,9%; გრანტები-100%; სხვა შემოსავლები -143% (გეგმა 1159,5 ათასი ლარი, ფაქტი -1658,6 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების კლება -131,3% (გეგმა -270,0 ათასი ლარი, ფაქტი - 354,7 ათასი ლარი). აღნიშნული გადაჭარბებით შესრულება გამოწვეულია ქონების გადახდით სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ჩარიცხვით.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის გადასახდელების შესრულებას დაგეგმილი 8700,0 ათასი ლარის ნაცვლად, ფაქტიურად ათვისებულია 7820,5 ათასი ლარი ანუ 89,9%. მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები 96,8% (გეგმა -3222,8 ათასი ლარი, ფაქტი -3121,5 ათასი ლარი);
- ხანძარსაწინააღმდეგო დაცვაზე - 95,3 % (გეგმა - 141,6 ათასი ლარი, ფაქტი 135,0 ათასი ლარი);
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოს შენახვაზე - 100%;
- თავდაცვის ღონისძიებებზე -100%;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები -83,5% (გეგმა - 4475,1 ათასი ლარი, ფაქტი 3737,6 ათასი ლარი);
- საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები - 98,1% (გეგმა - 127,0 ათასი ლარი, ფაქტი - 124,6 ათასი ლარი);

- სპორტული და კულტურული ღონისძიებების სუბსიდირებაზე - 94,5% (გეგმა - 307,0 ათასი ლარი, ფაქტი - 290,0 ათასი ლარი);
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისათვის - 94,3 % (გეგმა - 272,5 ათასი ლარი, ფაქტი - 257,0 ათასი ლარი).

ზემოთაღნიშნული ხარჯებიდან:

ა) შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 1233,4 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების 15,8%-ს შეადგენს;

ბ) საქონელი და მომსახურების გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1043,3 ათასი ლარი, ანუ მთლიანი ხარჯების 13,3%. მათ შორის: ოფისის ხარჯები - 7,2%, კომუნალური ხარჯები - 2,3%, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის ხარჯები - 3,1%;

გ) სუბსიდიები - 5,3%;

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შესავსებად გრანტის სახით გათვალისწინებული - 1070,0 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების 13,7%-ს შეადგენს;

ე) სოციალური უზრუნველყოფაზე -3,3%;

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 3801,9 ათასი ლარი ანუ 48,6%. მათ შორის: გზების მშენებლობის რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯებზე - 2315,1 ათასი ლარი ანუ 29,6%; ბინათმშენებლობაზე - 649,6 ათასი ლარი ანუ 8,3%; წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე - 473,6 ათასი ლარი ანუ 6%; გარე განათების სისტემის რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციაზე 39,4 ათასი ლარი ანუ 0,5%; წისქვილის, სპორტული მოედნის, ცენტრის კეთილმოწყობის, სოფლის კლუბებისა და რიტუალების დარბაზის მოწყობაზე და სარიტუალო მომსახურებისათვის აღჭურვილობის შეძენაზე 219,5 ათასი ლარი ანუ 2,8%.

ზემოთაღნიშნული სამუშაოების დაფინანსება ხორციელდებოდა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლებიდან, რომლის მოცულობამ შეადგინა შესაბამისად ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით 1586,3 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი შემოსავლებით 2151,3 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ფონდებიდან გამოყოფილი თანხებიდან აუთვისებელი დარჩა 19,4 ათასი ლარი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა), რომელიც გახარჯული იქნება 2013 წლის განმავლობაში. ასევე შეუსრულებელი დარჩა ადგილობრივი სახსრებით დაგეგმილი სამუშაოები, რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადატანილი იქნა 2013 წელს - 591,6 ათასი ლარი.

2012 წლის განმავლობაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი ფონდებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში არსებულ სოფლებში დაგეგმილი იყო სხვადასხვა სახის სამუშაოების და ქონების შესყიდვა 669,7 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც ფაქტიურად ათვისებულია 650,3 ათასი ლარი, ანუ 97,1%, მათ შორის:

- შიდა გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვისათვის 28 სოფელში დაიხარჯა 289,1 ათასი ;
- სასმელი წყლისსისტემების რეაბილიტაცია-ექსპლუატაციაზე 22 სოფელში 143,8 ათასი ლარი;
- გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია-ექსპლუატაციაზე 5 სოფელში 21,8 ათასი

- სოფლის კლუბების და სარიტუალო დარბაზის მოწყობაზე 12 სოფელში 121,9 ათასი ლარი;
- სარიტუალო აღჭურვილობის შეძენაზე 8 სოფელში 50,6 ათასი ლარი;
- სპორტული მოედნების მოწყობაზე ერთ სოფელში 3,0 ათასი ლარი;
- წისქვილის მშენებლობისათვის ერთ სოფელში 16,6 ათასი ლარი;
- სასაფლაოს შემოღობვა 2 სოფელში 3,5 ათასი ლარი.

აუთვისებელი თანხები - გზებში 5,8 ათასი ლარი, გარე განათება - 1,6 ათასი ლარი, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე - 11,6 ათასი ლარი და სარიტუალო აღჭურვილობაზე - 0,4 ატასი ლარი, სულ 19,4 ათასი ლარის შესყიდვა განხორციელდება 2013 წლის განმავლობაში, რაც შეთანხმებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.

გარდა ზემოთაღნიშნულისა ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საქართველოს მთავრობის და პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულებითგამოყოფილი იქნა სპეციალური ტრანსფერი 750,0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მთლიანად მიმართული იქნა დმანისი-საფარლოს საავტომობილო გზის 16 კმ-იან მონაკვეთის მოასფალტებაზე და სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციაზე რაც 100%-ით იქნა ათვისებული.

ასევე ადგილობრივი შემოსავლებიდან დამატებით გამოყოფილი იქნა ამ მიმართულებით 1508,1 ათასი ლარი, საიდანაც ათვისებულია 72,5 % (გეგმა - 1508,1 ათასი ლარი, ფაქტი 1094,2 ათასი ლარი); ბინათმშენებლობაზე - ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაზიაზე 85,7% (გეგმა 758,3 ათასი ლარი, ფაქტი 649,6 ათასი ლარი); წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე 83,1% (გეგმა 395,6 ათასი ლარი, ფაქტი 328,9 ათასი ლარი); გარე განათების სისტემის რეაბილიტაციაზე 35,8% (გეგმა 41,1 ათასი ლარი, ფაქტი 14,7 ათასი ლარი); ქალაქ დმანისის ცენტრის კეთილმოწყობაზე 27,7% (გეგმა 65,0ათასი ლარი, ფაქტი 18,0 ათასი ლარი); სოფლის კლუბების მოწყობაზე 15,2% (გეგმა 59,0 ათასი ლარი, ფაქტი 9,0 ათასი ლარი).

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ერიცხება კრედიტორული დავალიანება 35,6 ათასი ლარი, მათ შორის შესრულებული სამუშაოების - 16,7 ათასი ლარი.

2012 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან საკრებულოს შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე გაცემული იქნა 118,1 ათასი ლარი. მათ შორის: ერთჯერადი დახმარება 7 მოქალაქეზე - 4300 ლარი, სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ბინების აღდგენისათვის - 11,9 ათასი ლარი, სასმელი წყლის სისტემის აღდგენისათვის - 27,0 ათასი ლარი, შიდა გზების აღდგენისათვის - 32,7 ათასი ლარი და სხვა დანარჩენი - 42,2 ათასი ლარი.

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე გარდამავალი ნაშთი დაფიქსირდა 1694,7 ათასი ლარი.